

გიორგი გუგუშვილი

ბრძანებითა ბრძოლა

მოგაპალი სიკეთის გაუფუხრელი

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის დავით ცომიას

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

გამოცემა აერთიანებს გიორგი გურჯიევის ორ ტექსტს *გრძელუღათა ბრძოლა* და *მომავალი სიკეთის მაუწყებელი*.

პიესა *გრძელუღათა ბრძოლა* – ძირითადად გადმოგვცემს თეთრი და შავი მაგიის ურთიერთგანსხვავებებსა და მსგავსებას: ავტორი ამ მაგიათა მნიშვნელობებსა და მახასიათებლებს, როგორც იდეებს სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის შესახებ, ააშკარავებს და გამოსახავს ფიზიკური, საგნობრივი ენით...

მომავალი სიკეთის მაუწყებელი – ეს მოცემული ტექსტი ფაქტობრივად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, სადაც გურჯიევი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების კონკრეტულ დეტალებს, მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის გარშემო დატრიალებულ მოვლენებს, პირად დამოკიდებულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ და მკითხველისადმი მიმართვებს გარკვეული რჩევების სახით.

მთარგმნელი: დავით ცომაია

კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი

დიზაინი: ნიკა ჯიბლაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2025

ვებგვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-8005-6

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	5
გრძნეულთა გრძნეულობა.....	13
აქტი I. სცენარი ბალეტისათვის.....	13
აქტი II. თეორი გრძნეულის სკოლა.....	22
აქტი III. ლაფარის სახლი.....	29
აქტი IV. შავი გრძნეულის სკოლა.....	41
აქტი V. იგივე სცენა მეორე აქტისა.....	50
მოგაპალი სიუჟეტის გაუფუხრელობა.....	63
პირველი მიმართვა თანამედროვე კაცობრიობას.....	63
ჩემი პირველი პრაქტიკული რჩევა-დარიგება.....	68
Café de la Paix.....	69
ყველა და ყველაფერი.....	124
პირველი სერიის შინაარსები.....	128
მეგობრული დარიგება.....	131
წრიული წერილი.....	167
დამატებითი განაცხადი.....	176
სარეგისტრაციო ფურცელი.....	183
„აქტის“ მიერ გამოცემული გიორგი გურჯიევის წიგნები.....	187

მთარგმნელის წინასიტყვაობა

მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი, მისტიკოსი, ეზოტერიკოსი, ოკულტიستي, ტიბეტელთა სულიერი ლიდერის, დალაი-ლამას, მასწავლებელი, გიორგი გურჯიევი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ალექსანდროპოლში (დღევანდელი სომხეთის ნაწილი) დაიბადა. ამ ადამიანის ეროვნება და დაბადების თარიღი დღემდე გაურკვეველია – დაბადების თარიღად ასახელებენ 1866-იდან 1877-ამდე წლებს – თუმცაღა ცნობილია, რომ იგი დედით სომეხი, მამით კი ბერძენი გახლდათ. ზოგიერთი მის ასირიულ წარმოშობაზე მიუთითებს, ზოგი კი – ქართულზე... მისი მეტსახელი „გურჯიევი“, სწორედ, „ქართველს“ აღნიშნავს.

ისტორიული კონტექსტი:

1912 წელს გურჯიევი კავკასიიდან რუსეთში ბრუნდება, სადაც ირთავს კიდეც ცოლს. სწორედ მოსკოვში ჩნდებიან მისი პირველი მოწაფეები. 5 წლის შემდეგ კი მიემგზავრება სომხეთში. 1919 წელს გურჯიევი რჩეულ მოწაფეებთან ერთად მშობლიური ქალაქიდან თბილისში ჩამოდის. აქვე ხსნის „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტს“, რომელსაც შემდგომში „მეოთხე გზა“ ეწოდა. 1920 წელს პოლიტიკური ვითარების დაძაბულობის გამო იგი ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბოლ-

ში ჩადის, სადაც ეცნობა სუფიურ ფილოსოფიას. 1921-22 წლებში მისტიკოსი მოგზაურობს დასავლეთ ევროპაში, ლექციებს ატარებს ბრიტანეთსა და გერმანიაში. 1924 წელს, პარიზიდან დაბრუნებისას, ავარიაში მოყვა, რის გამოც ძლივს გადარჩა (არსებობს ვარაუდები, რომ ავარია განგებ მოუწყვეს). 1925-26 წლებში ჩადის ქალაქ ნიუ-იორკში, სადაც საკუთარ ქონებას დაახლოებით 1 მილიონი დოლარით ზრდის. II მსოფლიო ომის პერიოდში უმეტესწილად იმყოფება საფრანგეთში. როგორც ცნობილია, იგი გარდაიცვალა 1949 წელს, დაკრძალულია საფრანგეთში, ფონტანებლუს სასაფლაოზე.

გიორგი გურჯიევის ფილოსოფია და მისი ფიგურა დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ამას ისიც განაპირობებს, რომ ნიუ-იორკსა და კალიფორნიაში დღესაც მოქმედებს ამერიკის საზოგადოების განვითარების ცენტრი, სადაც გურჯიევის ფილოსოფიურ კონცეფციებზე დაყრდნობით იმართება პრაქტიკული სავარჯიშოები, წმინდა ცეკვები, რომლებიც აგებულია უნივერსალურ ენეაგმას სიმბოლოზე.

ის თავის ზოგ წიგნში იყენებდა ქართულ შრიფტსაც (ფლობდა აგრეთვე ათამდე ენას). მან ცხოვრების გარკვეული ნაწილი თბილისში გაატარა. მას ასევე კავშირი ჰქონდა მიხეილ ბულგაკოვთან (არის ვერსია, რომ უკანასკნელის ნაწარმოებში „ოსტატი და მარგარიტა“ ერთ-ერთი პერსონაჟი ვოლანდი, სწორედ, გურჯიევის პროტოტიპია), გრიგოლ რობაქიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ XX სს. დასაწყისიდან „თეთრი ეშმაკი“ თავად განიცდიდა იოსებ სტალინის გავლენას: 1904-5 წლის რუსეთში მომხდარი რევოლუციის პერიოდში გურჯიევი სემინარიის თანაკურსელთან ერთად მონაწილეობდა

ჭიათურის აჯანყებაში, სადაც იგი მძიმედ დაიჭრა. ურმით ხე-სურეთში გადაიყვანეს და მძიმე ქირურგიული ოპერაცია ცნობილმა ქართველმა ექიმმა, მგელიკა ლიქოკელმა, ჩაუტარა.

ბატონ გიორგი გურჯიევს ხალხი ადამიანის სულის მექანიკოსს, მისი მიმდევრები კი „კაცობრიობის სულიერი კულტურის განმაახლებელს“ და დიდ მოგვს უწოდებენ.

პიესა „გრძნეულთა ბრძოლა“ გურჯიევმა I მსოფლიო ომის შემდეგ დადგა (ხოლო მოგვიანებით ნაწარმოების ბეჭდური ვერსიაც გამოიცა). ამ ნაწარმოების შინაარსი ძირითადად გადმოგვცემს თეთრი და შავი მაგიის ურთიერთგანსხვავებებსა და მსგავსებას: ავტორი ამ მაგიათა მნიშვნელობებსა და მახასიათებლებს, როგორც იდეებს სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის შესახებ, ააშკარავებს და გამოსახავს ფიზიკური, საგნობრივი ენით – ის ამ იდეებს პერსონაჟთა ფიგურებით, მათი ჩაცმულობით, გარეგანი ემოციური გამოხატულებებითა და სხვადასხვა მოვლენა-ღონისძიების მიმართ დამოკიდებულებებით ამჟღავნებს.

პიესაში აღწერილი პერსონაჟთა მოძრაობები, ცეკვები და ა.შ. გამიზნულია იმისათვის, რომ გადმოიცეს გიორგი გურჯიევის მიერ ჩამოყალიბებული „ცეკვების“ სისტემის შინაარსი და თავად მისივე გარეგნული მხარის დემონსტრირება.

ცნობისათვის, გურჯიევმა შეიმუშავა გარკვეული მოძრაობების სისტემა, რომელსაც იგი „წმინდა ცეკვებს“ უწოდებდა. ცეკვებს, რომლებიც 39 მოძრაობისაგან შედგებოდა, გურჯიევი თავის მოწაფეებთან ერთად ასრულებდა. მოძრაობათა ხასი-

ათის საწყისები ეფუძნება სხვადასხვა რელიგიებს, ამასთან, იმ ტრადიციებს, რომლებიც სათავეს იღებს ცენტრალურ და მცირე აზიაში, ინდოეთში, ტიბეტში, შორეულ აღმოსავლეთსა თუ აფრიკაში.

პიესაში აღწერილი გაფორმებებით ირკვევა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გურჯიევი ეროვნულ კულტურულ მახასიათებლებს, რომელთა კოსმოპოლიტური სინთეზიც ქმნის არა ერთგვაროვან შერწყმულ ფემომენს, არამედ გლობალურ მრავალფეროვან ე.წ. კატალოგს ადამიანის სამყაროში.

ნაწარმოები „მომავალი სიკეთის მაუწყებელი“ 1933 წელს დაიბეჭდა. ეს გახლდათ ავტორის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო მსოფლიო მკითხველისათვის, რომელიც გადაწყვეტდა გურჯიევის ნაწარმოებთა გაცნობას. მოცემული ტექსტი ფაქტობრივად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, სადაც გურჯიევი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების კონკრეტულ დეტალებს, მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის გარშემო დატრიალებულ მოვლენებს, პირად დამოკიდებულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ და მკითხველისადმი მიმართვებს გარკვეული რჩევების სახით.

ნაწარმოები პირველად საფრანგეთში დაიბეჭდა, მას მეორენაირად ასევე „ღმერთის მოსვლის მაცნეს“ უწოდებდნენ... როგორც მოცემული ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, გურჯიევს პარალელურ რეჟიმში უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი სხვა წიგნების წერა, ვინაიდან ეს ტექსტი ერთ-ერთი პირვე-

ლია, რომელიც გამოსცა ავტორმა, თუმცა იქვე კონკრეტულ განსაზღვრულ დეტალებზედაც საუბრობს საკუთარი სხვა წიგნების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო სრულად შემდგარი და გადაცემული დასაბეჭდად იმ დროისათვის.

გიორგი გურჯიევის ეს წიგნი ერთგვარი ცნობაა როგორც მისი მოწაფეებისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის – იმის შესახებ, თუ რა გზის გავლა მოუწევს ადამიანს, რომელსაც სურს, მის მოძღვრებას შედეგიანად და სრულყოფილად ეზიაროს.

ბრძნეულთა ბრძოლა

სქენარი გალუთისათვის

აქტი I

მოქმედება მიმდინარეობს აღმოსავლეთის დიდ სავაჭრო ქალაქში.

ბაზრის მოედანი – სადაც მრავალი ქუჩა და ხეივანი გადის: მათ გარშემო მაღაზიები და ჯიხურები – საქონლის მთელი ნაირნაირობით – აბრეშუმი, თიხის ტურტელი და ნაკეთობები, ცხარე და სურნელოვანი სანელებლები; წინ ღიად გადაჰყურებს თერძებისა და მეწაღეების სახელოსნოები.

მარჯვნივ – ხილის დახლების წყება; ორი ან სამი საწყობ-მაღაზიის ბრტყელსახურავიანი სახლები უამრავი აივნით, აქა-იქ ჩამოკიდებული ფარდებითურთ, სხვა ადგილებში კი – მიმობნეული სარეცხი.

მარცხნივ – სახურავზე, ჩაის სახლის ახლომახლო, თამაშობენ ბავშვები; ორი მაიმუნი ლავგარდანზეა¹ აცოცებული.

უკან მდებარე სახლები თითქოს დაკლაკნისო ქუჩებს, რომლებიც მიემართებიან მთის სახლებისაკენ, მეჩეთებისა თუ

1. იგივე. კარნიზი.

მინარეთებისაკენ, ბაღებისა თუ სასახლეებისაკენ, ქრისტიანული ეკლესია-საყდრებისა თუ ჰინდური ტაძრებისა და პაგოდებისაკენ².

მოშორებით, ერთ-ერთ მთაზე, მოჩანს ძველი ციხე-სიმაგრის კოშკი.

შუაგულში იმ ბრბოსი, რომელიც ვიწრო ქუჩებსა და ბაზრის მოედანზე მოძრაობს, თითქმის ყველანაირი გვარის აზიელ ხალხს წავაწყდებით, თავიანთი ეროვნული სამოსით რომ არიან შემოსილნი: სპარსი – თავისი შეღებილი წვერით; ყოველი ავღანელი – თეთრებში, ამაყი და თამამი გამოხატულებით; ბალოხისტანელი³ – თეთრი ჩალმით, უხეში წინსაფრითურთ და მოკლე თეთრი უსახელო ხალათით, სქელი ქამრითურთ, რომელზედაც დამაგრებულია რამდენიმე დანა: ნახევრად გაშიშვლებული ტამილური⁴, მისი თავის წვერი კი გაღესილი, თეთრი და წითელი ორკაპი, ვიშნუს⁵ სიმბოლო, რომელიც მის შუბლზეა მოხატული; ხივას⁶ მკვიდრი – უზარმაზარი შავი ბეწვის ქუდითა და ხშირი ბამბით მოსარჩულებული ხალათით: ყვითლად მოსილი ბუდისტის ბერი, თავგადაპარსული და ხელში სალოცავი ბორბლით; სომეხი – თავისი შავი ჩოკათი⁷, ვერცხლის ქამრითა და შავი რუსული წვერმახვილი ქუდით⁸; ტიბეტელი – ჩინურის მსგავს შესამოსელში, ძვირ-

2. პაგოდა – ბუდისტური საკულტო ნაგებობა.

3. ბალოხისტანი – პაკისტანის ოთხ პროვინციასაგან ერთ-ერთი.

4. ტამილი/ტამილები – ინდოეთში არსებული ერთ-ერთი ეთნოსი.

5. ვიშნუ – ჰინდუისტურ რელიგიაში სამთავან მეორე მთავარი ღმერთი (ტრიმუტი).

6. ხივა – ქალაქი უზბეკეთში.

7. ჩოკა – ერთგვარი მაღალყელიანი ფეხსაცმელი/ჩექმა.

8. იხ. Фурман.

ფასი ბეწვეულით რომ ესაზღვრებიან ურთიერთს; და აგრეთვე ბუხარელები⁹, არაბები, კავკასიელები და თურქული წარმოშობის ხალხები.

ვაჭრები გაჰყვირიან თავიანთი საქონლისა და ნაწარმისათვის, ეპატიუებიან მუშტარს; მათხოვრები საწყალობელი ხმით ითხოვენ მოწყალებას; შარბათის¹⁰ დამტარებელი ბრბოს ართობს ენაწყლიანი სიმღერით.

ქუჩის დაღაქი, რომელიც პატივდებული მოხუცი „ჰაჯის“ თავს პარსავს, ახალ ამბებსა და ქალაქის ჭორებს უყვება თერძს, მომიჯნავე სამიკიტნოში რომ სადილობს. დაკრძალვის პროცესია ერთ-ერთ ვიწრო ხეივანს მიუყვება; წინ მიდის მოლა, უკანასკნელის უკან კი – ცხედარი, რომელიც დასვენებულია ტახტზე¹¹ და გადაფარებული აქვს სუდარა, ხოლო მას მოჰყვებიან მგლოვიარე ქალები. სხვა მეორე ხეივანში გამართულია ორთაბრძოლა და ყველა ვაჟი მისკენ მიიჩქარის საყურებლად. მარჯვენა მხარეს – ფაკირი¹² თავისი გადაჭიმული მკლავებით, მისი თვალები ერთ წერტილშია თავმოყრილი და ფოკუსირებულია ანტილოპას ტყავზე. მდიდარი და გავლენიანი ვაჭარი გვერდით მიუყვება ბრბოს – რომელსაც ყურადღებას არ აქცევს – მას თან ახლავს მოსამსახურენი, შეძენილი ნივთებით სავსე კალათებით დატვირთულნი. შემდგომ მოჩანს რამდენიმე დაქანცული მათხოვარი, ნახევრად შიშველი და მტვრით გასვრილი, როგორც ჩანს, ახლახან რომ მოემართებიან ზოგიერთი გაღატაკებული თუ მოშიმ-

9. ბუხარა – ქალაქი უზბეკეთში.

10. შარბათი – ტკბილი/დაშაქრული წყალი.

11. იგივე. კუბო/სასახლე.

12. აქ: მოხეტიალე მუსლიმი ბერი.

გოგავალი სიკეთის გაუფუძვლი

პირველი მიმართვა თანამედროვე კაცობრიობას

დადგენილი წეს-ჩვეულების საპირისპიროდ
მე არა მარტო ნებართვას ვაძლევ, ჩემი ეს
პირველი წიგნი – ისევე, როგორც პირველი სერიის
წიგნები – გადაიბეჭდოს ნებისმიერ ქვეყანაში,
არამედ, თუკი აუცილებელი იქნება, ვისურვებდი,
ფინანსურად ხელიც გამემართა მათთვის ამაში,
რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ
აბსოლუტური სიზუსტე შენარჩუნდება.

—

გ. ი. გუჩუაძე

შთაგონებულმა – როგორიც ახლა ვარ ჩემი ღრმა რწმენით, ექსპერიმენტული ახსნა-განმარტებებისა და დედუქციების გრძელ ხაზზე რომ აღმოცენდა, რა ყოველივესაც მივყავართ იმ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც, თუკი ადამიანი გულწრფელად და სერიოზულად მოისურვებს (და არა უბრალოდ ცნობისწადილით), მიაღწიოს იმგვარი გზის ცოდნას, როგორი გზაც ნამდვილ ყოფნამდე მიიყვანს, და, თუკი იგი სრულად შეაესებს ამ გზის დასასრულს, ყველაფერ იმას, რაც მოეთხოვება და ფაქტობრივად სხვადასხვა მოვლენათა შორის იწყებს არაპირდაპირი სახის (და სწორედ თავისი პირველი ნაბიჯებით) შველა-შეწვენას ამის მისაღწევად სხვათა საშუალებით – მაშინ იგი ამ მართლმართო განხორციელებული აქტით გახდება ისეთი, როგორიც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ნიადაგი გახლდათ რეალური მონაცემებისათვის, რომლებსაც წვლილი მიუძღვით ობიექტური და ნამდვილი სიკეთის გამოვლინებაში; ... და განცხოველებულმა – როგორიც მე ვარ⁵⁵ ჩემი საბოლოო ჩამოსვლის ზოგადი მიზნით⁵⁶, ჩემი ლიტერატურული მსჯელობებისა და საჯარო გამოსვლე-

55. ალუზ.: ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“.

56. მას შემდეგ, რაც ეზოტერულ-ოკულტურმა სწავლებებმა გერმანიაში დიდად ვერ მოიკიდა ფეხი, გურჯიევი საფრანგეთში იმყოფება, რათა ააღორძინოს საკუთარი დოქტრინალური სწავლება და დააფუძნოს თავისი სკოლები.

ბის საშუალებით (გამიზნული რომ გახლავთ ექსპერიმენტული ახსნა-განმარტებებისათვის ახლო მომავალში⁵⁷) მათი დანერგვისას და ჩაგონებისას ჩემს თანამედროვეთა ცნობიერებაში, რა უკანასკნელიც ეკუთვნის რამდენიმე ისეთნაირ „ფსიქო-ინიციაციურ“ ფაქტორს, როგორებიცაა წარმოდგენილი ჩემს აზრებში და აგრეთვე შეხედულებებში ყველა იმ ადამიანისა, რომელთაც გააჩნიათ შნო მცირე პირუთვნელი და მიუკერძოებელი განაზრება-ჩაფიქრებისა, რა ყველაფერმაც უცილობლად უნდა იმოქმედოს იმგვარ პრინციპთა ხელმძღვანელობით, თითოეული ქმნილების ცნობიერში რომ არსებობს (როგორც თავიანთ თავს უწოდებენ „ღვთის მსგავსს“⁵⁸), ისეთ „ინიციაციურ“ ფაქტორებში სახელდობრ, რომლებიც უდავოდ უნდა უკავშირდებოდეს ადამიანთათვის ბიძგის მიმცემ ფაქტორებს, რათა მათ ინსტინქტური რეაგირებაც გამოავლინონ და, ფიქრზე დაყრდნობით, ცხადადაც განიზრონ მორალური ვალდებულება, დაეხმარონ საკუთარ მოყვასს – ახლა მტკიცედ გადავწყვიტე, ისე ვიმოქმედო, რომ მასშტაბურად გაიყიდოს და ფართოდ გავრცელდეს ჩემი ნაწერების ეს პირველი შინაარსები, რომელი ნაწერებიც ჩემ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა სიის თავში უნდა განთავსდეს და რომლებიც გამიზნულია იმისათვის, რათა საკუთარ თავზე თავდაპირველად დაკისრებული ამოცანის შესრულებით თავადვე წამოიწყოს ადამიანის ცნობიერებაში ყოველივე ზემოთქმულისათუ ხალხის საერთო-საზიარო ყოფა-ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი „ფსიქიკური“ ფაქტორის ჩამოყალიბება.

57. რასაც ნამდვილად მოჰყვა გურჯიევთან რამდენიმე ადამიანის დამოწაფება.

58. ე.ი. ღმერთის ხატება და მსგავსება.

შესაბამისად, რა მიზანიც მამოძრავებს, ერთი მხრივ, განზრახვა იმისა, რომ ჩვენი საერთო მამის⁵⁹ ქმნილებათა სიმრავლეს, რომელი ქმნილებებიც ატარებენ შენს მსგავსებას, მაგრამ რომელთა ძალები გარკვეულ მიზეზთა გამო შეზღუდულია, მივცე შესაძლებლობა ჩემი ამ პირველი ბროშურის შეძენისა უფასოდ; ... და რა განსაზღვრული გეგმებიც მაქვს დასახული, მეორე მხრივ, ჩემი ნაწერების შემდეგ გამოცემასთან დაკავშირებით – მე განგებ მაქვს გადაწყვეტილი, რომ არ დაწესდეს რაიმე კონკრეტული ფასი ამ ბროშურისათვის, არამედ ის მყიდველის თავისუფალ ნებას მივანდოთ, რათა გადაიხადოს რვიდან ას რვა ფრანგულ ფრანკამდე რაოდენობით.

ამავდროულად, სიცოცხლის შესახებ თანამედროვე ჩვეულ დისკუსიებში ყოველგვარი შესვლის გარეშე, მე გარკვევით ვთხოვ ყველას – ვინც კი შეიძენს მოცემულ პირველ ბროშურას – რომ უპასუხონ სამ შეკითხვას, რომლებსაც მათ დაუსვამს გამყიდველი, რათა ამ უკანასკნელს საშუალება მისცენ, შეავსოს სათანადო „სარეგისტრაციო ფურცლის“ პარაგრაფები⁶⁰, აქვე დართული.

პოსტრი

59. იგულისხმება სამყაროსეული „აბსოლუტი“.

60. ეს პარაგრაფები მოიცავს მყიდველის სახელს, მისამართს, თუ რატომ და ვისი რჩევით გადაწყვიტა შეიძენა, გადახდილი თანხის ოდენობას, ხელმოწერას – რომელი პარაგრაფებიც ამ წიგნის ბოლოს არის თანდართული (გურჯიევი იმ პერიოდის მდგომარეობის გათვალისწინებით დიდად აფასებდა საკუთარი მოძღვრებით დაინტერესებულ პირებს... სწორედ ამიტომ სთხოვს მათ ვინაობის გაზიარებას.).

„აქტის“ მიერ გამოცემული მიორგი გუჩიუშის წიგნები

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელბებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“